F 4851/2

ნ. ლევინი, დ. დავიდოვიჩი

F 4.851
2

# მეემსის მუშაობა ბავშვთა შორის

Г.П.Б. в Лнгр.
О.Э. 1932 г.
Акт № 209
М

გამოცემა საქმეემსისა
ტფილისი–1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა. ტფილისი, კამოს ქ., № 68

შეკვეთა 140. მთავლიტი 102. ტირაჟი 3.000

Г 4.857/2

323.556

## 1. გაეწევრდით მემმსში

აგერ უკვე ხუთი წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირში არსებობს **მემმსი** (ეს არის—მშრომელ ებრაელთა მიწადმოქმწყობი საზოგადოება საბჭოთა კავშირში). მემმსი წარმოადგენს ამჟამად დიდ მასიურ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს თავის რიგებში 300.000 წევრს, ხოლო მათგან მესამედზე მეტს (100.000-მდე) მუშებს.

**მემმსი ინტერნაციონალური ორგანიზაციაა;** თითქმის ნახევარი (105.000-მდე) მემმსის წევრებისა არიან არა ებრაელები: რუსები, პოლონელები, უკრაინელები, ბელორუსები და სხვა ეროვნებანი.

როგორ ამოცანებს ისახავს მემმსი?

ჩვენ ვიცით, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა ცარიზმის დროს ჩაგრული ნაციონალური უმცირესობანი და მისცა ყველა ეროვნებათა მშრომელებს საშუალება განვითარებისა, როგორც კულტურულად, აგრეთვე ეკონომიურად.

ებრაელთა მშრომელი მასები და ღარიბები რევოლიუციამდე მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდენ. მემამულეთა კაპიტალისტების წყობილება არ უშვებდა ებრაელებს სამუშაოდ დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებში; ებრაელებს არ ჰქონდათ უფლება ეცხოვრათ სოფლად და ხელი მოეკიდათ სამიწადმომქმედო შრომისათვის; მათ არ ჰქონდათ აგრეთვე უფლება ეცხოვრათ მთელ სახელმწიფოში, ისინი ჩაჰკეტეს რამოდენიმე მეურნეობის მხრით ჩამორჩენილ ოლქებში (ე. წ. „ბინადრობის ზოლი“ ეხლანდელი ბელორუსიისა და უკრაინის მარჯვენა ნაპირის საზღვრებში), სადაც მათ შეეძლოთ ეცხოვრათ მხოლოდ ქალაქებსა და დაბებში.

ასეთი მდგომარეობა შეიქნა იმის მიზეზად, რომ ებრაელთა მოსახლეობის ფართო მასები, რომლებიც ცხოვრობდენ საშინელ სილარიბეში, იძულებული იყვნენ ხელი მოეკიდათ უმთავრესად წვრილი ვაჭრობისა და ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ხელოსნობისათვის. ამიტომ ფაბრიკის მუშების რაოდენობა ებრაელთა შორის მეტად მცირე იყო. გლეხები თითქმის სრულებით არ ყოფილან უკრაინის რამოდენიმე ძველი ებრაელი კოლონიების გამონაკლისით.

**საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ასეთ მდგომარეობას.** საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ცდილობს ჩააბას წინად ჩაგრული ხალხები ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში, მიიღო მთელი რივი ზომებისა ებრაელ მშრომელთა მოსახლეობის და ღარიბების ეკონომიური ცხოვრების გამოსაჯანსაღებლად. მან ფართოთ გაუღო ებრაელ მშრომელთა მასებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას ფაბრიკებისა, ქარხნებისა და მაღაროების კარი. რასაკვირველია, მათ ამ დროს უნდა გაწვლონ მოწაფეობა. მოზრდილთათვის ეს შეუძლებელია ამიტომ ძირითადი ხაზი, რომლითაც ებრაელი ფართო მასების მოზრდილი ღარიბი მოსახლეობა — შეიძლება ჩაებას საწარმოო ცხოვრებაში — **ესაა სამიწადმოქმედო შრომა.**

მშრომელ ებრაელთა მიწადმოქმედობის სფეროში, ჩვენ უკვე მივაღწიეთ საბჭოთა კავშირში დიდ მიღწევებს

ამჟამად უკვე მოიპოვება 200.000-ზე მეტი ებრაელი გლეხი, რომლებიც მუშაობენ ყირიმის, ხერსონშჩინის და ბირობიჯანის (შორეულ აღმოსავლეთში) მინდვრებზე. ებრაელი გლეხები აშენებენ თავის მეურნეობას კოლექტიურ საწყისებზე.

ებრაულ გლეხურ მეურნეობათა 50 პროცენტი უკვე კოლექტივიზაციაქმნილი იყო მასიური და მთლიანი კოლექტივიზაციის პროცესამდე. ებრაული სოფელი ჩქარი ნაბიჯებით უახლოვდება ასპროცენტიან კოლექტივიზაციას. მაგრამ მუშაობა ჯერ არ დასრულებულა.

ვინაიდან ჩვენ გვყავს. საბჭოთა კავშირში ებრაელთა მოსახლეობის მასები, რომელნიც ჯერ კიდევ არ ჩაბმულან ნაყოფიერ შრომაში

საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ატარებს **კომზეტის** (**მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი კომიტეტი ცაკთან**), საშუალებით ამ მძიმე და პასუხსაგებ სამუშაოს ებრაელ მშრომელთა და ღარიბების მიწადმოწყობის სფეროში, ეყრდნობა მუშათა და გლეხთა ფართო მასების საზოგადოებრივ დახმარებას.

**მემმსი**—არის ის ორგანიზაცია, რომელიც აყალიბებს თავის რიგებში ყველა ეროვნებათა ასეულ ათას მუშებსა და გლეხებს, ეხმარება სახელმწიფოს მთელ მის მუშაობის დროს მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის საქმეში.

როგორ ეხმარება მემმსი ამ მუშაობას?

იგი აგროვებს თანხებს, უზრუნველჰყოფს ებრაელ გლეხებს კულტურული, მედიკური და აგრონომიული დახმარებით, ატარებს ფართო ახსნით მუშაობას ებრაელ მასების შორის; სამიწადმომქმედო შრომაზე გადასვლისათვის,აყალიბებს და აგზავნის გადასახლებულებს და აღვიძებს ყველა ეროვნებათა მშრომელების ინტერესს ამ საქმისადმი. ამგვარად **მემმსის** მუშაობა არის აგრეთვე ძლიერი იარაღი ანტისემიტიზმთან ბრძოლის და ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში.

შეუძლიათ განა ბავშვებს და პიონერთა ორგანიზაციებს, რომლებიც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ყველა საზოგადოებრივ საქმეებში და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობაში ჩამორჩენ გვერდზე და არ მიიღონ მონაწილეობა **მემმსის** მუშაობაში?

არა, არ შეუძლიათ, მათ უნდა ითამაშონ უდიდესი როლი **მემმსის** მუშაობაში. უკვე ეხლავე ჩვენ გვაქვს ზოგიერთ სკოლებში და პიონერ - რაზმებში—„**მემმსის მეგობართა**“ უჯრედები. მაგრამ ამ უჯრედების მუშაობას არ მიუღია ჯერ მასიური ხასიათი. ბავშვების უმეტესობამ ჯერ არც კი იცის, თუ რა არის მემმსი. „**მემმსის მეგობართა**“ არსებული უჯრედები მუშაობენ ჯერ ძალიან

სუსტად და არ აქვთ სათანადო ხელმძღვანელობა თავის მუშაობაში.

კომკავშირმა და პიონერ - ორგანიზაციამ დააყენა ყველა სკოლებისა და პიონერ - რაზმების წინაშე ამოცანა ბავშვთა მონაწილეობის გაძლიერებისა მემმსის მუშაობაში.

**საკავშირო პიონერთა შეკრებამ მისცა განაწესი ყველა ბავშვებს და პიონერთა ორგანიზაციებს „მემმსის მეგობართა" უჯრედების ქსელის გაფართოების და ფართო ბავშვთა მასების მათ რიგებში ჩაბმის შესახებ.**

პიონერთა შეკრებამ დააყენა მთელი ბავშვების წინაშე ამოცანა, რომ თვით შეუკავშირდენ ებრაელ გლეხთა ბავშვებს, აიღონ მათზე შეფობა, გაგზავნონ დელეგაციები ებრაელთა სოფელში და აწარმოონ შეუნელებელი ბრძოლა ანტისემიტიზმისა და ნაციონალური შუღლის წინააღმდეგ ბავშვებისა და მოზრდილებს შორის.

სკოლებისა და პიონერ რაზმების ყველა ძალები და მთელი ენერგია უნდა მიმართული იყოს იმისაკენ, რომ განხორციელებულ იქნეს პიონერთა შეკრების განაწესი.

**— დაეხმარეთ ებრაელ მშრომელთა მასების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში! დაეხმარეთ ებრაელთა სოფლის ბავშვებს! ყველა ეროვნების მშრომელთა ბავშვების — ძმური მეგობრობისათვის! ყველა ბავშვები — „მემმსის მეგობართა" უჯრედებში!**

## 2. „მემმსის მეგობართა" უჯრედი სკოლაში

**პირველი ნაბიჯები:** „მემმსის მეგობართა" საბავშვო უჯრედები არსდება შრომის სკოლებში, პიონერ რაზმებში, საბავშვო სახლებში, საბინაო საცხოვრებელ ამხანაგობებში, ინტერნატებში და ა. შ. სკოლას აქვს ბევრი შესაძლებლობა მემმსის მუშაობის საწარმოებლად ბავშვებს შორის.

როგორ უნდა მოეწყოს „მემმსის მეგობართა" უჯრედი სკოლაში? ინიციატივა თავზე უნდა აიღოს ფორპოსტმა, სამოწაფეო კომიტეტმა ან ბავშვების ჯგუფმა, რომელსაც გამოჰყოფს მოწკომი. საინიციატივო ჯგუფი

შეუთანხმდება **მეგობრის** ადგილობრივ განყოფილებას, ან და მეგობრის განყოფილების ახალგაზრდათა სექციას და იწვევს მოწაფეთა საერთო კრებას, რომელზედაც **მეგობრის** წარმომადგენელი (ან რომელიმე მასწავლებელი, ფიონერ-პოსტის ხელმძღვანელი) კითხულობს მოხსენებას **მეგობრის** მიზნებისა და ამოცანების შესახებ და აგრეთვე მეგობრის მუშაობაში ბავშვთა როლის შესახებ.

სასურველია, რომ მომხსენებელმა გამოიწვიოს ყველა ბავშვების აქტიურობა; მან უნდა გამოიყენოს თავის მოხსენებაში ფაქტები სკოლის ცხოვრებიდან, გაამახვილოს ბავშვთა ყურადღება სკოლაში ინტერნაციონალური აღზრდის და ანტისემიტიზმთან და შოვინიზმთან ბრძოლის საკითხების შესახებ. ამის შემდეგ როცა საერთო კრება დაადგენს მოეწყოს სკოლაში „მეგობრის მეგობართა“ უჯრედი, კრება ირჩევს ბიუროს მუშაობის საწარმოებლად. ბიუროს შემადგენლობაში შედის 5—7 ბავშვი (სასურველია, რომ ბიუროში შევიდნენ ყველა ჯგუფების წარმომადგენლები), პედსაბჭოსა და მოწკომის წარმომადგენელი.

**როგორ მუშაობს უჯრედის ბიურო.** არჩეული ბიურო იქვე უდგება პრაქტიკულ მუშაობას. ის აწარმოებს ყველა ჯგუფებში ბავშთა რეგისტრაციას, რომელთაც სურთ გახდნენ „მეგობრის მეგობართა“ წევრები. ბიურო უკავშირდება მეგობრის ადგილობრივ განყოფილებას, რომლისგანაც იღებს პირველ დახმარებას და მითითებას, თუ როგორ უნდა იქნეს წარმოებული მუშაობა.

ბიურომ უნდა მიიღოს ზომები, **რომ ყველა ბავშვებმა იცოდნენ უჯრედის მოწყობის შესახებ და ჩაეწერონ „მეგობრის მეგობრებად“**, დასწეროს რამოდენიმე წერილი კედლის გაზეთში, გამოაკრან ლოზუნგები, პლაკატები, ფოტოგრაფიები (ყველა ამის შოვნა შეიძლება მეგობრის განყოფილებაში), მოაწყოს ყველა მოსწავლეთა საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხის გარშემო. ბიუროს წევრები გამოყოფენ მდივანს (მუშაობის ორგანიზატორი). ბიუროს დანარჩენი წევრები ხელმძღვანელობენ მუშაობის სხვადასხვა დარგებს: ებრაული სოფლის ან კოლექტივის

შეფობას (უფრო სწორად — სოფლად განსაზღვრულ დაწესებულებაზე. სასოფლო სკოლა, ქოხ-სამკითხველო და ა. შ.), უჯრედის მასიურ მუშაობას სკოლაში, არაორგანიზებულ ბავშვებს შორის მუშაობას, მოზრდილთა შორის, სამეურნეო მუშაობას და ა. შ. მაგრამ მუშაობას არ ექნება არავითარი წარმატება, თუ მას ხელს მოჰკიდებენ მხოლოდ ბიუროს წევრები. ამისათვის ბიურომ უნდა მიიზიდოს ბავშვთა ფართო აქტივი. მაგალითად: ბიუროს წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს საშეფო მუშაობას, ადგენს თავის გარშემო მოწაფეთა ჯგუფს, რომლებიც ეხმარებიან მას ამ მუშაობაში. ამგვარად, მუშაობის ყოველ დარგს უნდა ჰყავდეს თავის აქტივში— ფართო წრე ბავშვებისა. ბავშვები უნდა მიზიდულ იქნან იმ დარგში, რომელიც მათ ყველაზე უფრო აინტერესებთ. გარდა ამისა, ბიურომ უნდა დაისახოს მიზნად გამოიყენოს თავის მუშაობაში სკოლაში არსებული წრეები. განსაკუთრებით მან უნდა მიიზიდოს სკოლის სასოფლო - სამეურნეო და სამხატვრო წრეები. ბიურო სასოფლო - სამეურნეო წრესთან ერთად ადგენს მუშაობის გეგმას ებრაელთა სოფლის კოლექტივიზაციაში მონაწილეობის მისაღებად (დაწვრილებით ამ მუშაობის შესახებ—შემდეგ). ბიურო მუშაობის დასაწყისშივე უნდა შეუკავშირდეს სხვა სკოლებს, სადაც არსებობს „მეშმსის მეგობართა“ უჯრედები და ერთმანეთს გაუზიარონ თავისი მუშაობის გამოცდილება. აქვე უნდა გამოიყოს ბავშთა ჯგუფი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს ამ კავშირის გარშემო. ბიურო მთლიანად ხელმძღვანელობს ყოველი ცალკეული ბიუროს წევრის მუშაობას და აგრეთვე მთელი უჯრედის აქტივისას. მან დროგამოშვებით უნდა მოისმინოს ბიუროს წევრთა მოხსენებები ჩატარებული მუშაობის შესახებ და უნდა მისცეს მათ მითითებანი შემდგომი მუშაობისათვის.

ბიურომ და აგრეთვე სხვადასხვა ჯგუფებმა (საშეფო, მას. მუშაობისა და სხვა), უნდა აწარმოონ დღიურები და შიგ ჩასწერონ მათ მიერ ჩატარებული მთელი მუშაობა. არაა სავალდებულო, რომ დღიური აწარმოოს

მდივანმა; უჯრედის ყოველ აქტიურ წევრს შეუძლია ჩასწეროს დღიურში ესა თუ ის მუშაობა. იმისათვის, რომ ბიუროს და მთელი უჯრედის მუშაობა მიმდინარეობდეს ორგანიზაციულად, საჭიროა წინასწარ გეგმის გამომუშავება.

გეგმა მუშავდება ბიუროს ყველა წევრების მიერ, უჯრედის აქტივის მონაწილეობით. გეგმას უნდა იცნობდენ „მეომსის მეგობართა“ უჯრედის ყველა წევრები და ის უნდა იყოს დამტკიცებული.

## „მეომსის მეგობართა“ უჯრედის მუშაობის გეგმა იანვარსა და თებერვალში

**მასიური მუშაობა.** 1. 3 იანვარს „მეომსის მეგობართა“ უჯრედის საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

ა) მოხსენება თემაზე: „რით შეუძლია ჩვენს უჯრედს დაეხმაროს საშეფო კოლექტივს (სოფელს) თესვის კამპანიაში“.

ბ) მეომსის ლატარიის ბილეთების გავრცელების შესახებ ჩვენი სკოლის მოწაფეთა და მშობლებს შორის.

გ) ალბერტინის წიგნიდან „ბიირობიჯანი“ ნაწყვეტის წაკითხვა.

2. 17 იანვარს ჩატარებულ იქნეს გასამართლების ინსცენიროვკა ორ მოწაფეზე—ანტისემიტზე და შოვინისტზე (მოწვეულ იქნან მშობლები და უახლოესი სკოლის მოწაფენი).

**საშეფო მუშაობა.** 1. სკოლის ფიზიკურ ტეხნიკურ წრესთან შეთანხმება რადიო-მიმღების დადგმის შესახებ, სოფლის სკოლისათვის (ან კოლექტივის წითელი კუთხისათვის).

2. გამოცხადებულ იქნეს მთელ სკოლაში წიგნების შეგროვება კოლექტივის ბიბლიოთეკისათვის (კამპანია უნდა იქნეს წარმოებული სოცშეჯიბრში გამოწვევისა და კედლის გაზეთის საშუალებით).

3. 8 თებერვალს მოეწყოს სოფლად გამგზავრება ყველა ჯგუფების წარმომადგენლებისა, იმ მუშათა მშობლების მონაწილეობით, რომლებიც თავისუფალი არიან

ამ დღეს სამუშაოდან — კოლექტივის გასაცნობად და მშობელთა დახმარებით — სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტის გასაკეთებლად — გაზაფხულის თესვისათვის.

**მუშაობა მშობლებს შორის.** მშობელთა საერთო კრებაზე 22 თებერვალს დასმულ იქნეს „მემძის მეგობართა“ უჯრედის მოხსენება ებრაელთა მიწადმოწყობისა და მემძის ამოცანების შესახებ (მოხსენებაში გამოყენებულ იქნეს ფაქტები საშეფო კოლექტივიდან); ჩატარებულ იქნეს მშობლების ჩაწერა მემძის რიგებში და „ტრიბუნაზე“ ხელის მოწერა (თვით კრებაზე).

**სხვა სამუშაოები.** გამოყენებულ იქნეს ექსპონატები, რომელიც ჩამოაქვთ ბავშვებს სოფლიდან — მემძის კუთხის განახლებისათვის.

**მზადება შემდეგი თვისათვის.** სკოლის ლიტერატურულ დრამატიულ წრესთან მოლაპარაკება პროგრამის მოსამზადებლად შეკავშირების საღამოს ჩატარებისათვის.

**ბიუროს სხდომები.** ორი თვის განმავლობაში ჩატარებულ იქნეს ბიუროს სამი სხდომა: პირველი — იანვრის პირველ რიცხვებში მიმდინარე მუშაობის საკითხების განხილვისათვის და უჯრედის წევრთა შორის მოვალეობის განაწილებისათვის; მეორე—თებერვლის ბოლოში შესრულების შემოწმებისათვის და შემდეგი მუშაობისათვის მითითების მისაცემად; მესამე სხდომა—თებერვლის შუა რიცხვებში.

მუშაობა უნდა ზუსტად იყოს განაწილებული ბიუროს წევრთა და აქტივს შორის—ბავშვთა უმეტესობის მონაწილეობით. გეგმის განხილვაში უნდა მონაწილეობა მიიღონ სასკოლო წრეების, მოწკომის და პედსაბჭოს წარმომადგენლებმა იმისათვის, რომ უჯრედის მუშაობა არ მოსწყდეს სკოლის მთლიან მუშაობას.

**საღამოები, კრებები და თათბირები.** საღამოები, კრებები და თათბირები — საყურადღებო მომენტებია სკოლის უჯრედის „მემძის მეგობართა“ მუშაობაში.

ვილაპარაკოთ საღამოების შესახებ. სკოლის უჯ-

რედს „მეგობრის მეგობართ" არც შეუძლია და არც უნდა მოაწყოს მხოლოდ თავის ძალებით **მოპრის საღამოები სკოლაში.** უნდა მოხდეს წინასწარ შეთანხმება სკოლის ყველა სამხატვრო და სხვა წრეებთან, შეერთებულად გამომუშავებულ იქნეს პროგრამა და საერთო ძალებით უნდა მოეწყოს საღამო. საღამოები, უმთავრესად უნდა იქნენ შერჩეულნი მოპრის რომელიმე საერთო კამპანიასთან, ან და თვით უჯრედის მორიგ კამპანიასთან.

როგორ სჯობია საღამოს პროგრამის შედგენა?

ერთმა შვიდწლედის „მოპრის მეგობართა" უჯრედმა — ბირობიჯანში წამსვლელთა გასაცილებლად მოაწყო ასეთი საღამო:

„დარბაზი იყო მორთული **მოპრის** შესახებ ლოზუნგებით და პლაკატებით, რომლებიც გააკეთა ჩვენმა სამხატვრო წრემ.

არა დიდი, მაგრამ საინტერესო მოხსენებით „ბირობიჯანისა და ებრაელ მშრომელთა მასების მიწადმოწყობის" შესახებ გამოვიდა მოპრის წარმომადგენელი ამხ. კორსუნსკი. მან მოკლედ მოუთხრო (ბავშვებს და მშობლებს) იმის შესახებ, თუ რა ქვეყანაა ბირობიჯანი, იმ ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ, რომელიც იქ მოიპოვება და იმ მხარის გამოყენების შესახებ ებრაელთა მიწადმოწყობისათვის. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი დამსწრე მშობელთაგანი ყოფილა ომის დროს შორეულ აღმოსავლეთში. მან ითხოვა სიტყვა. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ებრაელი ღარიბები იქ იპოვიან მშვენიერ მინდორს თავისი ძალისა და ენერგიის გამოსაყენებლად, და გადააქცევს ამ მხარეს აყვავებულ სოციალისტურ ქვეყანად. მისი სიტყვები მიღებულ იქნა მხურვალედ. შემდეგ გამოვიდა ერთი გადასახლებულთაგანი. სკოლამ აიღო, თავის თავზე შეფობა გადასახლებულთა მიერ დატოვებულ ბავშვებზე და დაივალდებულა თავი იქონიოს მუდმივი კავშირი გადასახლებულებთან და უგზავნოს მათ იქ გაზეთები და ჟურნალები. საღამოს ბოლოში ჩვენ დავდგით პიესა ებრაელ გლეხების ცხოვრებიდან".

**ბავშკორი საშა პინსკი.**

უნდა მოწვეულ იქნან სალამოებზე მშობლები, საშეფო გლეხთა ბავშვები და ა. შ. გადავიდეთ კრებების საკითხზე. იმის გამო, რომ მოწაფეები ძალზე დატვირთულნი არიან სწავლით და საზოგადოებრივი მუშაობით, არ არის საჭირო ხშირი კრებების მოწყობა. უჯრედის კრებების მოწვევა საჭიროა თვეში ერთხელ. საერთო კრებისათვის საჭიროა კარგად მზადება.

როგორი საკითხები უნდა იქნეს განხილული კრებებზე? მაგალითად: საკითხი მუშაობის თვიური გეგმის შესახებ, უნდა დაყენებულ იქნეს საერთო კრებაზე; საერთო კრება ირჩევს სოფელს ან კოლექტივს შეფობისათვის; ისმენს ანგარიშს საშეფო მუშაობის შესახებ; ირჩევს დელეგაციებს ებრაელთა სოფლებში; სხვა სკოლასთან სდებს შეჯიბრის ხელშეკრულებას სალატარიო ბილეთების გავრცელებაზე, წიგნების, სახელმძღვანელოების და საშუალებათა შეგროვებაზე სოფლის სკოლისა და საბავშვო მოედნისათვის, კითხულობს საშეფო ბავშვების წერილებს და კოლექტიურად პასუხობს მათ, ისმენს ბიუროს ანგარიშს და ა. შ.

გარდა საერთო კრებებისა, საჭიროა დროგამოშვებით თათბირების ჩატარება განსაზღვრულ თემებზე. ჩვენის აზრით, თათბირების მოწყობა საჭიროა უფროს ჯგუფებისათვის ცალკე, აგრეთვე უნცროს ჯგუფებისათვის ცალკე.

შეიძლება დავსახოთ რამოდენიმე თემა ბაასისათვის.

**ᲣᲜᲪᲠᲝᲡ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** როგორ სჩაგრავდა მეფის მთავრობა ეროვნულ უმცირესობებს და რა მისცა მათ ოქტომბრის რევოლიუციამ.

წაკითხულ იქნას და განხილული ს. ეპშტეინის წიგნაკი „პიონერებს მემმსის შესახებ“ და სხვა პატარა წიგნები ებრაელ გლეხებისა და მათი ბავშვებისა, ყოფისა და ცხოვრების შესახებ.

რა არის კომზეტი, მემმსი და რითი შეგვიძლია ჩვენ მათ დავეხმაროთ.

კოლექტიველის ბაასი კოლექტივის ცხოვრების შესახებ.

**უფროსი ჯგუფებისათვის.** რისთვის სჩაგრავ-და მეფის ხელისუფლება ებრაელებს და რა სურდა ამით მიეღწია? პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა და მუშაობა ებრაელ მშრომელ მოსახლეობაში.

ბიროზიჯანის გეოგრაფიული და ეკონომიური მდებარეობა.

ანტისემიტიზმი და შოვინიზმი—ჩვენი კლასობრივი მტრების იარაღი.

ებრაელ მშრომელთა მასების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და მათი მონაწილეობა რევოლიუციონურ ბრძოლაში.

ბავშვების მონაწილეობა ებრაელთა სოფლის კოლექტივიზაციაში.

მხატვრული ლიტერატურის კითხვა ებრაელთა სამიწადმოქმედო შრომის შესახებ.

## ვ. მემმსის მუშაობა პიონერთა შორის

ბავშვთა შორის მემმსის მუშაობაში, როგორც საერთოდ მთელ საზოგადოებრივ მუშაობაში, პიონერთა ორგანიზაცია უნდა შეიქნეს მაგალითი და გახდეს ამ მუშაობის ორგანიზატორი და ინიციატორი.

პიონერთა შეკრებამ დაუყენა დამკვრელი ამოცანა ყველა პიონერთა ორგანიზაციებს „მემმსის მეგობართა" ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაძლიერების შესახებ; მემმსის მუშაობის გამოყენება ბავშვთა მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ყოველი პიონერი უნდა იყოს აქტივისტი მემმსის მუშაობაში. პიონერ რაზმებში და პიონერ კლუბებში, სადაც არიან ბავშვთა ფართო ფენები, ხოლო ისინი არ შედიან სასკოლო უჯრედების ქსელში, უნდა ფართოდ იქნეს დაყენებული მემმსის მუშაობა.

**პიონერ - რაზმებში და პიონერთა კლუბებში აუცილებელია „მემმსის მეგობართა" უჯრედების მოწყობა.**

მეთოდების მთელი რიგი, რომელიც ნაჩვენებია სკოლისათვის, ნაწილობრივ გამოსაყენებელია აგრეთვე პიო-

ნერ რაზმებისა და პიონერ კლუბებისათვის: კრებები, თათბირები, საღამოები და ა. შ. მიუხედავად ამისა, აქ არის მთელი რიგი სპეციფიური პირობებისა, რომლებიც ითხოვენ მუშაობის თავისებურ ფორმებს.

პიონერ რაზმებში უკეთესია, რომ ბიუროს მაგიერ მუშაობას ხელმძღვანელობდეს მოპრის წერტი, რომელიც თავის მუშაობასავრცელებს მთელ რაზმზე. მოპრის წერტის ინიციატივით მთელ რაზმში ტარდება პიონერთა ჩაწერა „მოპრის მეგობართა" უჯრედში. მოპრის წერტი ამზადებს და ატარებს თათბირებს და ბაასს მოპრის საკითხებზე, აწყობს მოპრის კუთხეს, უკავშირდება მოპრის ადგილობრივ განყოფილებას, ინიციატორობს შეფობის აღებას ებრაულ სოფელზე, ან პიონერ რაზმზე ებრაულ სოფელში.

ძირითად ამოცანებად „მოპრის მეგობართა" უჯრედის მუშაობისა პიონერ რაზმში უნდა იყოს: **ინტერნაციონალური აღზრდა პიონერებისა,** წერილობითი კავშირი ებრაელ კალონიის ბავშვებთან, მოპრის განყოფილებისათვის დახმარება მათ მუშაობაში, თანხების შეგროვება გადასახლებულთათვის, მოპრის მუშაობისათვის ხელმძღვანელობა არა ჩამოყალიბებულ ბავშვებში.

**უდიდესი მუშაობა შეიძლება ჩაატაროს პიონერ რაზმმა ზაფხულში — ბანაკად გასვლის დროს.** თუ რაზმში იპოვება „მოპრის მეგობართა" ძლიერი უჯრედი, შესაძლებელია, რომ რაზმი მოეწყოს ებრაელთა სოფლებთან ან კოლექტივთან ახლოს. ზაფხულში, გახურებულ მუშაობის დროს. მინდორში, ბოსტანში, ყანაში — რაზმს შეუძლია ბევრის გაკეთება. ზოგიერთ პიონერებს შეუძლიათ სპეციალურად იმუშავონ გლეხი ბავშვების შორის: შექმნან პიონერთა რაზმი, თუ ასეთი არ არის, უზრუნველჰყონ ბავშვები ლიტერატურით, თავისუფალ საათებში ლიკვიდაცია უყონ უცოდინარობას.

პიონერთა კლუბებმა, რომლებიც აერთიანებენ ასეულ და ათასეულ ბავშვებს — უნდა გაშალონ აგრეთვე დიდათ მოპრის მუშაობა. მოპრის დიდი საღამოები, მოპრის კუთხეები ებრაული მიწადმოწყობის შემსწავლელი

წრეები, სასოფლო-სამეურნეო გამოფენები ებრაელ გლეხთა მონაწილეობით, ინსცენიროვკები, საჩვენებელი გასამართლებანი ანტისემიტებზე და შოვინისტებზე — დელეგაციები ებრაელთა სოფელში — ყოველივე ეს მომენტები მუშაობისა — უნდა განსაკუთრებით კარგად და ფართოდ იყოს დაყენებული პიონერთა კლუბში.

## 4. მუშაობა არაჩამოყალიბებულ ბავშვებს შორის

არაჩამოყალიბებულ ბავშვებს შორის მუშაობას უნდა თავის მოყრა. უმთავრესად საბინაო ამხანაგობებში და სახლებში. ინიციატივას „მეშმსის მეგობართა" უჯრედის მოსაწყობად საბინაო ამხანაგობაში ან მუშათა ყაზარმაში — იღებს თავის თავზე სასკოლო უჯრედის ბიურო ან რაზმის მეშმსის—წერტი. საბინაო ამხანაგობის პიონერები აგროვებენ ბავშვებს, უხსნიან მათ „მეშმსის მეგობართა" უჯრედების როლს და აყალიბებენ ბავშვებს ასეთ უჯრედებში. **„მეშმსის მეგობართა" უჯრედის პირველი მუშაობა საბინაო ამხანაგობაში — ეს არის მეშმსის კუთხის მოწყობა.**

იქ ტარდება უჯრედების კრებები და თათბირები. აუცილებელია დიდი ყურადღების მიპყრობა **ინტერნაციონალური მუშაობისაკენ.**

პიონერთა დელეგატები, რომელთაც დაათვალიერეს ებრაელთა სოფლები, უნდა მოდიოდნენ საბინაო ამხანაგობაში და უთხრობდენ ბავშვებს იმის შესახებ, თუ რა ნახეს სოფლად, როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ებრაელი გლეხები. არაჩამოყალიბებული ბავშვები ყოველთვის უნდა იქნენ მიწვეულნი მეშმსის საღამოებზე, რომლებიც ეწყობა სკოლებში, რაზმებში და კლუბებში. უნდა მოეწყოს არაჩამოყალიბებულ ბავშვების შეხვედრა ებრაული სოფლის ბავშვებთან, რომლებიც მოუთხრობენ მათ თავისი მუშაობისა და ცხოვრების შესახებ სოფლად. „მეშმსის მეგობართა" უჯრედებმა საბინაო ამხანაგობებში უნდა ჩაატარონ ფართო კამპანია თესვისათვის, რომელშიაც უნდა ჩაებან არა მარტო ბავშვები, არა-

მედ მოზრდილებიც, შეიძლება მაგალითად გამოცხადებს ნაცარზე წასვლისათვის მინდვრების გასანაყოფიერებლად. „მემმსის მეგობართა“ უჯრედი ეზოებში და კორიდორებში ჰკიდებს ყუთებს და აკრავს პლაკატებს:

ნაცარი მაღლა სწევს მოსავლიანობას!
ჩაჰყარეთ ნაცარი ყუთებში!
მივცეთ ნაცარი ებრაელთა კოლექტივების მინდვრებს!

### „მემმსის მეგობართა“ უჯრედი.

„მემმსის მეგობართა“ უჯრედმა უნდა აწარმოოს აგრეთვე აღმზრდელობითი მუშაობა მშობლებს შორის შემდეგი საშუალებებით: უნდა მოწვეულ იქნან მომხსენებლები მშობლებისათვის მემმსის შესახებ, უნდა გავრცელებულ იქნეს სალატარიო ბილეთები, უნდა გამოკიდებულ იქნეს ბინებში პლაკატები და ფოტოგრაფიები ებრაელთა მიწადმოწყობის შესახებ და ა. შ.

მაგრამ ძირითადი მიზანი—ესაა აღმზრდელობითი მუშაობა თვით ბავშვებს შორის: უნდა გამოეცხადოს ბრძოლა ნაციონალისტურ გინებას, უნდა დამყარდეს მეგობრობა ამ სახლის ბავშვებს შორის, უნდა გაეცნონ ისინი ებრაელი მშრომელების ცხოვრებას. საბინაო ამხანაგობასთან არსებულ „მემმსის მეგობართა“ უჯრედმა უნდა დააყენოს აგრეთვე საკითხი და გამოაცხადოს თანხების შეგროვება სოფლად დამოუკიდებელი გამგზავრების მოსაწყობად.

## ნ. როგორ უნდა მოეწყოს მემმსის კუთხე

სკოლაში, პიონერ რაზმში, საბინაო ამხანაგობაში და ა. შ. „მემმსის მეგობართა“ უჯრედებმა უნდა მოაწყონ მემმსის კუთხეები. კუთხის მოწყობა ყველაზე უკეთესია იქ, სადაც თავმოყრილია სხვა დანარჩენი კუთხეები—რემედასის, სამხედრო, ანტირელიგიური და ა. შ. ყველა წრეებმა და წერტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ კუთხის მოწყობაში. სამხატვრო წრე ამზადებს პლაკატებს, ებრაელთა მიწადმოქმედების ფოტოგრაფიებს

(შესაძლებელია მუშაობაში მიზიდვა ფოტომოყვარულთ წრისა), ჟურნალიდან ამონაჭრებს („ტრიბუნა“ და სხვ.). საჭიროა აგრეთვე საბჭოთა კავშირში ებრაელთა მიწადმოწყობის რუქის მომზადება, ან და საერთო რუქაზე ელექტრონის ლამფებით ან სხვა რამე ნიშნებით აღნიშვნა ებრაელთა მოსახლეობის პუნქტებისა.

პლაკატები უნდა იყოს დაწერილი მოკლედ, ლოზუნგები—გასაგებად.

**ყველა ბავშვები—მეომსის მეგობრებია!**
**ცარიზმი, ერეკებოდა ებრაელებს ვაჭრობისაკენ, ოქტომბერი აყენებს მათ ტრაქტორთან და მიწასთან!**
**გაუმარჯოს ყველა ეროვნების მშრომელთა ბავშვების ძმურ ერთიანობას!**
**გამოვგავოთ ანტისემიტური და შოვინისტური ნაგავი ბავშვთა რიგებიდან! ანტისემიტიზმი კონტრრევოლიუციაა!**
**ბავშვებო, დაეხმარეთ ებრაელთა სოფლის კოლექტივიზაციას!**

მეომსის კუთხეში უნდა იპოვებოდეს აგრეთვე მორიგი მებრძოლი ლოზუნგები იმ კამპანიებისა, რომლებსაც ატარებს ამ დროს „მეომსის მეგობართა“ უჯრედი, როგორც მაგ. ლოზუნგები ლატარიის შესახებ, „ტრიბუნის“ გავრცელების, გადმოსახლებულთა ბავშვების დახმარების და ა. შ. საჭიროა დახატვა სხვადასხვა იუმორისტული სურათებისა და კარიკატურებისა, როგორც მაგ.: კარიკატურები ანტისემიტებზე და შოვინისტებზე და ა. შ. სადურგლო და ფიზიკურ ტეხნიკურმა წრეებმა უნდა მოუტანონ დიდი სარგებლობა მეომსის კუთხის მოწყობას. შეიძლება გაკეთება ძველი სოფლის მოდელისა, დამტვრეული და დალრანჯული ქოხებით და ახალი, კოლექტივიზირებული და ელექტროფიცირებული სოფლისა. შეიძლება გამოქანდაკება თიხიდან ებრაელი გლეხისა, გლეხი ბავშვებისა საძოვრებზე და სხვ. მეომსის კუთხეში უნდა გამოკიდებულ იყოს სია მეომსის ლიტერატურისა, რომელიც იპოვება სკოლის ბიბლიოთეკაში და საჭიროა

მაგიდაზე. დალაგება ამ ლიტერატურის ნიმუშებისა. დიდი ადგილი კუთხეში უჭირავთ სასოფლო სამეურნეო ექსპონატებს, კარგი და ცუდი მარცვლის-ნიმუშებს, მინდვრის მავნებლებს და მათთან ბრძოლას, საშეფო სოფლის კოლექტივიზაციის დიაგრამებს და ა. შ.

კუთხესთან საჭიროა იყოს მაგიდა, რომელზედაც მასწავლებელი ან უჯრედის მორიგე წევრი (ხანდახან შეიძლება მემმსის წარმომადგენლის მოწვევაც) იძლეოდეს ახსნას ექსპონატებისას, რუქებისას და დიაგრამებისას, ასახელებდეს ლიტერატურას, აძლევდეს დარიგებას მუშაობაში, ან და ატარებდეს ბაასს. კუთხე საჭიროა დროგამოშვებით განახლებულ იქნეს ახალი ექსპონატებით, სურათებით, ფოტოგრაფიებით, ლოზუნგებით და ა. შ. მემმსის კუთხეს სკოლაში და პიონერ რაზმში შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა აგრეთვე იმითაც, რომ ის გადატანილი იქნება განსაზღვრული დროით ფაბრიკაში, მუშათა ყაზარმაში და მასთან შესაძლებელია განვითარებულ იქნეს ახსნითი მუშაობა. მემმსის კუთხეების ასეთი მუშაობა ბევრად დაეხმარება მემმსის მთლიან მუშაობას.

## 6. ინტერნაციონალური აღზრდა

როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, ინტერნაციონალური აღზრდა ითვლება ერთ-ერთ ძირითად ნაწილად „მემმსის მეგობართა“ უჯრედის მუშაობაში. უჯრედის მთელი მუშაობა უნდა გამსჭვალული იყოს ინტერნაციონალური აღზრდის სულით. მუშაობას ექნება გამარჯვება მხოლოდ მაშინ, როცა მასში ნამდვილად იქნებიან ჩაბმულნი ყველა ეროვნებათა ბავშვები, როცა ბავშვები თავის შეერთებული მუშაობით მემმსის საკითხების გარშემო დამეგობრდებიან, ამხანაგურად მოეკიდებიან ერთმანეთს, პრაქტიკაზე მიხვდებიან ინტერნაციონალიზმის არსებას.

რომ მემმსის მუშაობა, შესაძლებელია საუცხოვოდ იქნეს გამოყენებული, როგორც ინტერნაციონალური აღზრდის საშუალება—ჩვენ უკვე დავინახეთ მრავალი წინა მაგალითებიდან. შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით ამაზე.

სკოლის ბავშვები, რაზმის პიონერი და რასაკვირველია, არაჩამოყალიბებული ბავშვები — ხშირად იწამლებიან სახლში და ქუჩაზე დამპალი, ნაციონალისტური განწყობილებით.

ზოგიერთ სკოლებში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე კლასობრივი მტრის აშკარა აგენტებს, რომლებიც ცდილობენ ერთი ეროვნების ბავშვები წააქეზონ მეორეზე და მოსწამლონ ბავშვები ნეპმანური და კულაკური იდეოლოგიის საწამლავით. ეს ნახულობს თავის გამოხატულებას ანტისემიტიზმსა და შოვინიზმში. ნაციონალისტური განწყობილებანი სკოლაში და სხვა ადგილებზე ხშირად იფარება უდანაშაულო „ნილაბ“ ქვეშ, როგორც საგინებელი სიტყვები და ა. შ.

მაგრამ ხშირად ეს იღებს მეტად სერიოზულ ხასიათს.

„სამარის მეორე საფეხურის სკოლაში № 6 მოწაფეები სდევნიდენ ებრაელ მოწაფე ქალს ბურშტეინს. 10 ივნისს მათ მოაწყეს მასზე თავდასხმა, სცემეს მას, დაამტვრიეს გრძელი სკამი“...

(გაზ. „ნიჟნევოლჟსკაია კომუნა“).

ან

„მინსკთან ახლოს პიონერთა დასასვენებელ სახლში — პიონერები ვერ შეეგუენ ერთმანეთთან ცხოვრებას.

ანტისემიტურად განწყობილი ბავშვთა ნაწილი, თავს ესხმის ებრაელ ბავშვებს, აგინებს მათ უშვერი სიტყვებით. ბავშვები ჯგუფდებიან ცალ-ცალკე: ბელორუსები ცალკე, ებრაელები—ცალკე. ეს იწვევს იმას, რომ დასვენების სახლში გამეფებულია ჩაკლული განწყობილება. ანტისემიტურ გამოძრომას ეხმარება აგრეთვე მზარეული ქალი, გამოუსწორებელი ანტისემიტი. მაგრამ ბავშვთა უმრავლესობამ გამოუცხადა ბრძოლა ამ განწყობილებებს და აწარმოებს დიდ მუშაობას ნაციონალური შულლის წინააღმდეგ, რომელმაც იპოვა ადგილი ზოგიერთ ბავშვებს შორის.

**პიონერი მიშა ზემლიანსკი.**

არის ფაქტები აგრეთვე სხვა ხასიათისა.

ხშირად მოდის წერილები, განსაკუთრებით დაბებიდან, სადაც ბავშვები იწერებიან, რომ მათ შორის არ არის არავითარი ინტერნაციონალური მუშაობა, ებრაელი ბავშვები გამოცალკევებული არიან რუსებიდან, მათ აგინებენ სხვადასხვა შოვინისტური სიტყვებით. ამ სკოლებში არასოდეს არ აწყობენ შეერთებულ საღამოებს, ცუდადაა დაყენებული ბავშვთა აღზრდის ინტერნაციონალური მუშაობა.

ყველა ეს ფაქტები — შედეგია კლასობრივი მტრის გავლენისა ბავშვთა ზოგიერთ ჯგუფებზე, ხშირად პიონერებზეც.

რით დაეხმარება მემმსის მუშაობა ბავშვებს შორის ინტერნაციონალურ აღზრდის სფეროში? რასაკვირველია, თუ ჩვენ შევებრძოლებით ანტისემიტიზმს ისეთი ზომებით, როგორც 31-ე სოკოლნიკურმა სკოლამ (მოსკოვშია), რომელმაც სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში შეიტანა პუნქტი ანტისემიტიზმის „შემცირების“ შესახებ მოწაფეთა შორის 10 პროცენტით -- არაფერი კარგი ასეთი ბრძოლიდან არ გამოვა. სასაცილოა ასეთი რეზოლიუციების მიღება და მათი საშუალებით ბრძოლა. ანტისემიტიზმი უნდა მოისპოს მთლიანად. პროცენტებით ის არა ნაკლებ მავნეა, ვიდრე ასპროცენტიანი ფორმით.

**პირველ, საუკეთესო და ყველაზე უფრო ნაცად საშუალებად ანტისემიტიზმთან ბრძოლაში ითვლება** — ბავშვთა დელეგაციები ებრაელთა კოლმეურნეობებში. ამ სფეროში ჩვენ უკვე გვაქვს ზოგიერთი გამოცდილება. ცნობილ საკავშირო პიონერთა დელეგაციას, რომელიც მოეწყო 1929 წ. „პიონერსკაია პრავდას“ რედაქციის მიერ — ჰქონდა დიდი მნიშვნელობა და წარმატება. დელეგაცია დაიყო რამდენიმე ჯგუფად: ყირიმში, ხერსონში, ბელორუსიაში. პიონერთა დელეგატებმა პირველად ნახეს, როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ მიწაზე ებრაელი გლეხები, როგორაა მოწყობილი მათი მეურნეობა და როგორი ნაკლია მათ მუშაობაში. დაბრუნე-

ბისას, დელეგაციამ ჩაატარა დიდი მუშაობა ბავშვთა და მოზრდილთა შორის. მან მოუთხრო მათ თავისი ნახულის შესახებ პიონერთა გაზეთების საშუალებით, რომლებსაც კითხულობენ ასი ათასი ბავშვები და მოზრდილები, მან ჩააბარა მათ ანგარიში საერთო ბავშვთა კრებებზე, მოზრდილ მუშების, კომკავშირელების და სხვ. კრებებზე. მაგრამ ასეთი დელეგაციების მოწყობა შესაძლებელია არა მარტო საკავშირო მასშტაბით. ყოველ ქალაქში, დაბაში, „მემმსის მეგობართა" უნდა მოიწვიონ ყველა ბავშვების კონფერენცია და გამოჰყოს დელეგაცია ებრაელთა კოლმეურნეობაში. მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, ეპიზოდური, კამპანიური მუშაობაა. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სისტემატიური, აღმზრდელობითი მუშაობა ინტერნაციონალური აღზრდისათვის თვით სკოლაში, რაზმში, საბინაო ამხანაგობაში და ა. შ.

„მემმსის მეგობართა" უჯრედი უნდა გამოეხმაუროს ბავშვთა შორის ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოხატულებას, უნდა აწარმოოს ბაასი ამ თემაზე, აუხსნას ბავშვებს ანტისემიტიზმის კლასობრივი არსი. საჩვენებელ გასამართლებათა მოწყობას ანტისემიტებზე და შოვინისტებზე, ნაციონალისტური სიტყვების გაკიცხვას გაზეთების, პლაკატების და ლოზუნგების საშუალებით, ინტერნაციონალური საღამოების მოწყობას ყველა ეროვნებათა ენებზე — **მთელ ამ მუშაობას უნდა აჩნდეს „მემმსის მეგობართა" უჯრედის ინიციატივა.** მთელი მუშაობა ინტერნაციონალური აღზრდისა უნდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული „უღმერთოების" მუშაობასთან. ახსნა-განმარტებით მუშაობაში ანტისემიტიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ — რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლამ უნდა დაიკავოს თვალსაჩინო ადგილი.

## 7. მონაწილეობა მემმსის საერთო მუშაობაში

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით „მემმსის მეგობართა" უჯრედის სპეციფიური მუშაობის შესახებ — უმთავრესად ბავშვებს შორის. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მემმსი — ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რო-

მემმსიც საჭიროებს თავის საერთო მუშაობაში ფართოდ დახმარებას ყველა თავისი წევრებისას, მათ რიცხვში ბავშვებისასაც, რომლებიც გაერთიანებული არიან „მემმსის მეგობართა“ უჯრედებში. მემმს ბევრ შემთხვევაში დაჭირდება უჯრედის დახმარება. ამიტომ უჯრედებმა უნდა დააყენონ თავისი მუშაობა იმგვარად, **რომ ისინი ყოველ წუთში მზად იყვენ დაეხმარონ თავის მუშაობით, ადგილობრივ მემმსის განყოფილებას.**

ვთქვათ, ახლოვდება მემმსის კონფერენცია. მემმსის განყოფილება მიიმართავს უჯრედებს დახმარებისათვის კონფერენციის მომზადებაში. ყოველი უჯრედი ვალდებულია გამოჰყოს, ბავშვთა ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ პლაკატების და ლოზუნგების დასახატად, დაეხმარებიან კონფერენციის გამოფენის მოწყობაში, გაავრცელებენ მემმსის ნიშნებს, ლიტერატურას თვით კონფერენციაზე, — ყველა ამ მუშაობას ბავშვები შესძლებენ მშვენივრად შეასრულონ. მათ შეუძლიათ შეასრულონ აგრეთვე სხვა სამუშაოც, რომელიც დაკავშირებულია მემმსის წევრების შეგროვებასთან, მემმსის წევრების რეგისტრაციასა და პერერეგისტრაციასთან და ა. შ.

„მემმსის მეგობართა“ უჯრედები უნდა დაეხმარონ მემმსის საერთო მუშაობას აგრეთვე თავისი სამხატვრო ძალებით. როცა ეწყობა მემმსის საღამო, ბავშვთა უჯრედები ამზადებენ თავისი ძალებით პროგრამას, პიესას, დეკლამციას, ინსცენიროვკას, ლიტერატურულ შემოქმედებას და ა. შ.

„მემმსის მეგობართა“ დაბებისა და ნაწილობრივ ქალაქის უჯრედებს ევალებათ განსაკუთრებული საინტერესო სამუშაო. მათ შეუძლიათ და უნდა მიიღონ მონაწილეობა მემმსის უშუალო მუშაობაში ებრაელ მშრომელთა მიწაზე მოწყობაში. მათ შეუძლიათ აწარმოონ იმ ოჯახების რეგისტრაცია, რომელთაც სურთ გადავიდენ სამიწადმოქმედო შრომაზე, მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მუშაობის ისეთ საყურადღებო პროცესში, როგორც გამოკვლევა ჩაწერილთა ქონებრივი მდგომარეობისა, სოციალური მდგომარეობისა, გამოსადეგი არიან

ისინი მიწადმოქმედებისათვის თუ არა და ა. შ. რასაკვირველია მთელი ეს მუშაობა უნდა იქნეს წარმოებული შეერთებით და უფროსი ამხანაგების — ე. ი. მემმსის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენლების — ხელმძღვანელობით.

რამოდენიმე სიტყვა სალატარიო კამპანიებზე.

მემმსი აწყობს საკავშირო ლატარიებს. **თანხები, რომლებიც გროვდება ამ ლატარიებიდან, არის მნიშვნელოვანი მატერიალური წყარო, რომელიც აძლევს მემმსს საშუალებას აწარმოოს მუშაობა ებრაელ გადასახლებულთა და გლეხების შორის, გარდა ამისა, ლატარიებს აქვთ აგრეთვე დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა. მაგრამ ეს მძიმე მუშაობაა. აქ საჭიროა ფართო მასების მონაწილეობა.** და „მემმსის მეგობართა“ საბავშვო უჯრედებს შეუძლიათ ითამაშონ დიდი როლი ამ საქმეში. „მემსის მეგობართა“ უჯრედი, ვთქვათ იღებს მემმსის ადგილობრივ განყოფილებიდან ამოცანას — **გაავრცელოს 1000 ბილეთი აღნიშნულ დაწესებულებებში, წარმოებებში და აღნიშნული რაიონის სახლებში.**

ბავშვთა ჯგუფები ნაწილდებიან ქუჩების მიხედვით. ისინი იღებენ მითითებებს როგორ გაავრცელონ, როგორი ახსნა მისცენ ბილეთების მყიდველებს — და მუშაობა იწყება. შეიძლება აგრეთვე თავზე აღება ამოცანისა — მემმსის ლატარიის ბილეთების გავრცელება სპეციალურად მშობლებს შორის, სკოლის ბავშვებს შორის, სოფლის მცხოვრებთა შორის და ა.შ. მემმსის მეორე საკავშირო ლატარიაში პიონერებმა და ბავშვებმა დნეპროპეტროვსკში, როსტოვში, ხერსონში და სხვა ქალაქებში — გაითქვეს სახელი თავისი განსაკუთრებული მუშაობით სალატარიო კამპანიაში. ისინი დადიოდენ ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში და ავრცელებდენ ათიათასობით ბილეთებს.

ასეთი ცნობებია აგრეთვე სხვა ადგილებიდანაც. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ამ მუშაობაში „მემმსის მეგობართა“ უჯრედები შეუდარებელნი არიან და მშვენივრად არიან მოწყობილნი, ისინი გააკეთებენ ისეთ რამეს,

რასაც სხვები მათ ადგილზე ვერასოდეს ვერ გააკეთებდნენ.

## 8. მუშაობა მოზრდილებს შორის

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ „მემმსის მეგობართა“ უჯრედების მუშაობა არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ ბავშვებს შორის მუშაობით. ჩვენ ვიცით, რომ **მემმსი** ჯერ კიდევ ვერ შეიჭრა ბევრ დაბებში და განსაკუთრებით სოფლებში. მუშათა და გლეხთა მასებმა არ იციან, რა არის **მემმსი**, ბევრს არც კი გაუგონია ასეთი ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ამიტომაც **„მემმსის მეგობართა“ უჯრედები უნდა იყვნენ ის რგოლები, რომლებიც გააერთიანებენ გლეხებსა და ებრაელ ღარიბების ფართო ფენებს მემმსის ორგანიზაციასთან.**

რა გზით?

როცა უჯრედი აწყობს ებრაელთა სოფელში გამგზავრებას, როცა ის აწყობს იქ საღამოს, მან უნდა დაისახოს მიზნად აგრეთვე არა ებრაელი გლეხების მიზიდვა. დაბის სკოლებისა და პიონერთა უჯრედები „მემმსის მეგობრებისა“ უნდა ეცადონ, რომ მეზობელ სოფლის სკოლებში მოეწყოს ასეთივე უჯრედები. დაბის სკოლები უნდა დაეხმარონ სოფლისას, როგორც ორგანიზაციაში, აგრეთვე უჯრედის მთელ მუშაობაში და სოფლის ბავშვების ხელით, რომლებიც იპოვნებიან მუდმივად ადგილებზე, აწარმოონ მუშაობა არაებრაელ გლეხებთან. უნდა აუხსნათ გლეხებს მემმსის მიზნები, უნდა ვაჩვენოთ მათ კონკრეტულ მაგალითებზე, რომ ებრაელი გლეხი ამართლებს თავის მუშაობას სამიწადმოქმედო შრომით, რომ ის სისხლით და ხორცით შეეზარდა სამიწადმოქმედო შრომას. ვინაიდან ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა არაებრაელი მოსახლეობა ეპყრობა არასასურველად ებრაელ გლეხებს, არ სჯერა მათი გულწრფელი სურვილი მიწაზე მუშაობისა.

რატომაა ასეთი შემთხვევები?

იმიტომ რომ არაებრაელთა მოსახლეობის მასები ჯერ კიდევ ვერ იცნობენ ებრაელი გლეხების ცხოვრებას.

მათი გაცნობა ამ ცხოვრებასთან, ებრაელი გლეხის არაებრაელთან შეკავშირება — ასეთი ამოცანა უნდა დაიყენონ თავის წინაშე „მემმსის მეგობართა“ უჯრედებმა. სკოლები, პიონერრაზმები ხშირად უნდა იწვევდნენ მშობლების კრებებს. უჯრედებმა უნდა გამოიყენონ ეს კრებები აგრეთვე თავის მიზნებისათვის. საჭიროა მშობელთა კრებებზე მოხსენებების მოწყობა ბავშვების, კომკავშირელების, მასწავლებლების მემმსის მიზნებისა და საბჭოთა კავშირში ებრაელთა მიწადმოწყობის შესახებ; უნდა ჩატარდეს მშობელთა ჩაწერა მემმსის რიგებში, სალატარიო ბილეთების გავრცელება და ა. შ.

ყოველი მოსწავლე ვალდებულია სახშლი აუხსნას მშობლებს ანტისემიტიზმის მავნებლობა, უნდა დაამტკიცოს, რომ ანტისემიტიზმი ეხმარება მხოლოდ ჩვენ კლასობრივ მტერს; ბავშვებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ ნაციონალურ კარჩაკეტილობასთან ბრძოლაში. მშობელთა კრებებზე უნდა დაისვას აგრეთვე საკითხი ნაციონალიზმთან ბრძოლის შესახებ. „მემსის მეგობართა“ უჯრედი უნდ თავის წევრების საშუალებით ავრცელებდეს მემმსის ლიტერატურას სახლებში.

უნდა ჩატარებულ იქნეს კამპანია შემდეგი ლოზუნგით: — არც ერთი მემმსის მეგობრის სახლი ჟურნალ „ტრიბუნის“ გარეშე! ბავშვებმა უნდა უკითხონ ეს ჟურნალი მშობლებს. და არა მარტო „ტრიბუნა“, არამედ სხვა მემმსის ლიტერატურაც — წიგნები, ბროშურები უნდა გამოუწერონ მშობლებს სახლში.

ბავშთა დელეგაციების დაბრუნებისას ებრაელთა სოფლებიდან, უნდა მოეწყოს ფართო საანგარიშო საღამოები მშობლებისათვის, ფაბრიკებზე, კუსტარულ არტელებში, გლეხთა შორის და ა. შ. ამ საღამოებზე უნდა იქნენ მოზიდული ფართო მშრომელთა მასები. მემმსის განყოფილება ყოველთვის დაეხმარება ამ მუშაობას. საღამოებზე უნდა მოწვეულ იქნეს ებრაელი გლეხები. უნდა მოუთხრონ შეკრებილებს ყველაფერი, რაც ნახეს და გაიგონეს ებრაელთა სოფლის შესახებ, წარმატებებისა და სუსტი მხარეების შესახებ, როგორაა დაყენებული მე-

ურნეობა, უნდა განხილულ იქნეს, რით შეუძლიათ მოწრდილებს დახმარება არსებული ნაკლების აღმოფხვრაში. პრაქტიკულ მუშაობაში შეიძლება გამოჩნდეს აგრეთვე სხვა მომენტები მუშაობისა—მოზრდილთა შორის მაგრამ ერთის დახმარებაა საჭირო:

— უჯრედი არ უნდა იხარშებოდეს თავის საკუთარ წვენში!

## თ. კავშირი ებრაელთა სოფელთან

ეხლა, მთლიანი და მასიური კოლექტივიზაციის პერიოდში, როცა სოფელი მთლიანად, მათ რიცხვში ებრაელთაც, იქცევა სოციალისტური საწყისებზე, კავშირს სოფელთან უნდა ეჭიროს 1-ლ ხარისხოვანი ადგილი „მემმსის მეგობართა“ უჯრედების მთელ მუშაობაში. უჯრედი უნდა იყოს ინიციატორი ბავშთა და მშობელთა ბრიგადების გაგზავნისა სოფლის კოლექტივიზაციის მუშაობის ჩასატარებლად უნდა აღმოუჩინონ დახმარება თავის დროულად დათესვაში, მოსავლის შეგროვებაში და ერთდროულად დათესვაში, მოკულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა. მთელი ეს მუშაობა უნდა შევიდეს სასკოლო მუშაობის მთლიან გეგმაში; „მემმსის მეგობართა“ უჯრედმა უნდა თვალყური ადევნოს იმას, რომ არ მუშაობას არ გაუაროს გვერდზე და მოიცვას აგრეთვე ებრაელთა სოფელიც. „მემმსის მეგობართა“ **საბავშო უჯრედებმა უნდა გამოაცხადონ ფართო კამპანია უტილის შესაგროვებლად**—რკინის ნატეხი, ჩვრები, გატეხილი შუშა, ძველი კალოშები და ა. შ. ყველა ამათი გადაქცევა, შესაძლებელია ფულის საშუალებით ტრაქტორებად და სასოფლო სამეურნეო მანქანებად; ამ მუშაობაში სკოლები უნდა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს; უნდა მოეწყოს უტილის შეგროვება საბინაო ამხანაგობებში, უნდა მოეწყოს ყუთები—მთელ ამ მუშაობაში უნდა ჩანდეს „მემმსის მეგობართა“ ინიციატივა. **უჯრედმა უნდა შეაგროვოს წიგნები, ლიტერატურა კოლექტივიზაციის შესახებ, გაზეთები და ყველა ეს უნდა გადაუგზავნოს საშეფო სოფელს.** მოწ-

ყობა საბავშვო მოედნებისა, ბაგეებისა, პიონერთა რაზმისა. სალამოებისა და თათბირების ჩატარება ებრაელ გლეხთათვის თავისუფალ დროს—ყველა ეს უნდა შედიოდეს „მემმსის მეგობართა საბავშვო უჯრედების მოქმედების სფეროში. გარდა ამისა უჯრედმა ან უჯრედის ბრიგადამ უნდა **დაისახონ მიზნად მემმსის ჰექტარის დათესვა.** არასოდეს კოლექტივი არ ეტყვის უარს, თუ თვით ბავშვების ძალებით იქნება დათესილი — ყველა კულტურულ ღონისძიებათა გამოყენებით — სპეციალური მემმსის ჰექტარი. **მოსავალი ამ ჰექტარიდან დაეხმარება მემმსის მუშაობას და გადასახლებულთა ბავშვებს.**

„მემმსის მეგობართა“ უჯრედებმა უნდა მიიღონ მთელი რიგი ღონისძიებათა გადასახლებულთა ბავშვებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ: უნდა შეაგროვონ თანხები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ბავშვებისათვის, უნდა დაეხმარონ მათ პროდუქტებით, როცა ისინი მშობლებთან ერთად უდგებიან შორეულ გზას. მაგრამ არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში ძალების დაქსაქსვა. **არ შეიძლება რამოდენიმე კამპანიის ერთად გატარება.** საჭიროა ყოველთვის ხელი მოჰკიდო ერთ რომელიმე კონკრეტულ სამუშაოს, გაატარო ფართო კამპანია მის გარშემო „მემმსის მეგობართა“ უჯრედში ყველა არსებული ძალების მონაწილეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროს, როცა მიდის გახურებული მუშაობა კოლექტივიზაციისათვის, საჭიროა მთელი ძალების მომარაგება ამ საქმისათვის; როცა უკვე დათესილია და ჩვენს განკარგულებაშია თავისუფალი დრო, მაშინ შეიძლება გამოცხადებულ იქნეს ფართე კამპანია გადასახლებულთა ბავშვების დასახმარებლად. უფრო წვრილი სამუშაოები უნდა ჩატარებულ იქნეს რამოდენიმეხელ—სხვადასხვა ბავშვთა ჯგუფებში განაწილებით. მაგრამ მსხვილი სამუშაოები ყოველთვის საჭიროა ჩატარებულ იქნეს დაკვრითი წესით — ყველა არსებული ძალების გამოყენებით და ყველა ბავშვების ჩაბმით აღნიშნულ მუშაობაში.

რამოდენიმე სიტყვა ნაცარზე.

როგორც უკვე ვთქვით, ნაცარი თამაშობს დიდ

როლს მინდვრების განოყიერების საქმეში. ნაცრის შეგროვება და მისი სოფელში გადაგზავნა—არასოდეს არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული. ამასთან საჭიროა შეთანხმება მასწავლებლებთან ან აგრონომებთან, თუ რომელი ნაცარია გამოსადეგი აღნიშნული მინდვრებისათვის, ვინაიდან არის ნაცარი (მაგ. ტორფი), რომელსაც აქვს ცოტა მასაზრდოებელი ნივთიერება და ამისათვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში. **„მემმსის მეგობართა" უჯრედმა უნდა მიიზიდოს ებრაელი გლეხები სასკოლო ბოსტნის მოწყობაში.** დიდი ადგილი ებრაელთა სოფელთან კავშირის დამყარების საქმეში უნდა დაიკავოს უცოდინარობის ლიკვიდაციამ, მუშაობამ ქოხ-სამკითხველოში და სოფლის სკოლისათვის დახმარებამ. უცოდინარობის ლიკვიდაციის და მცირემცოდნეობის წრეებს ებრაელ გლეხებისა და მათი ცოლების შორის შეუძლიათ უხელმძღვანელონ უფროსი ჯგუფების ბავშვებს. ამ მუშაობის ჩატარება შეიძლება ზაფხულისა და გაზაფხულის არდადეგების დროს და აგრეთვე შუა სასწავლო წელში, ვინაიდან თუ კოლექტივი ახლოსაა ქალაქიდან — ყოველთვის შეიძლება ურმის შოვნა კოლექტივიდან. აუცილებელია სისტემატიური წერილობითი კავშირი ებრაელთა სოფელთან. ამ კავშირის გარეშე თქვენ არასოდეს არ გეცოდინებათ, რა სჭირია სოფელს და ბევრი რამ თქვენი მუშაობიდან ტყუილად ჩაივლის. წერილობით კავშირს უნდა აწარმოებდეს ბიურო ან საშეფო ჯგუფი. საჭიროა მიწერ-მოწერა არა მარტო უფროს კოლექტივისტებთან, არამედ კოლექტივისტების ბავშვებთანაც მათი ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, რით შეიძლება მათი დახმარება და ა. შ. განსაკუთრებით საყურადღებო როლი ენიჭება წერილობით კავშირს ბირობიჯანთან. „მემმსის მეგობართა" უჯრედი მიმართავს ადგილობრივ განყოფილებას, რომ მას მიამაგრონ რომელიმე კომუნა, კოლექტივი, ან სამოსახლო ბირობიჯანში წერილობითი კავშირისათვის. კარგად დაყენებულ წერილობით კავშირს შეუძლია ითამაშოს უდიდესი როლი. წერილები ბირობი-

ჯანიდან მიიპყრობენ ინტერესს, როგორც ბავშვებისას, აგრეთვე მოზრდილი მუშებისას. ეს წერილები არამც თუ გაგამდიდრებენ თქვენ ცოდნით ახალი, ნაკლებად გამოკვლეული ქვეყნის შესახებ და გაგაცნობენ იქაურ ცხოვრებას და აღმშენებლობას, მათ ექნებათ აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ბურჟუაზიულ და მეშჩანურ ჭორებთან საბრძოლველად, რომლებსაც ავრცელებენ ბირობიჯანზე.

უნდა მოეწყოს ამ წერილების კითხვა ბავშვებისათვის, მშობლებისათვის, დაბის ღარიბებისათვის და აგრეთვე საჭიროა კოლექტიური პასუხი ამ წერილებზე, სადაც უნდა მოუთხროთ გადასახლებულებს თქვენი ცხოვრებისა და ბირობიჯანისადმი ინტერესის შესახებ. საჭიროა იქ გაგზავნა შეძლებისდაგვარათ წიგნებისა და გაზეთებისა. მთელი მუშაობა ებრაელთა სოფელთან კავშირის ხაზით უნდა ჩატარდეს ადგილობრივი მემმსის განყოფილების ხელმძღვანელობით. მან უნდა გამოჰყოს კოლექტივი საშეფოდ; განყოფილების წინაშე თქვენ აკეთებთ ანგარიშს თქვენი მუშაობის შესახებ და ითხოვთ მითითებებს მომავალი მუშაობისათვის.

## 10. გამოიყენეთ გაზეთი თქვენს მუშაობაში

უპირველეს ყოვლისა—კედლის გაზეთი. კედლის გაზეთი—ძლიერი ფაქტორია სკოლის, პიონერრაზმის და საბინაო ამხანაგობის ცხოვრებაში. „მემმსის მეგობართა“ საბავშვო უჯრედებმა ამიტომ ყოველნაირად უნდა გამოიყენონ ის თავის მუშაობაში. ჩვენ ვურჩევდით კედლის გაზეთთან მემმსის საკითხების კუთხის შექმნას. უჯრედის ყველა დამკვრელი კამპანიები და მთელი მიმდინარე მუშაობა, ამ მუშაობის სხვადასხვა საკითხები — უნდა გამოტანილ იქნეს კედლის გაზეთში განსახილველად. კედლის გაზეთმა უნდა გააშუქოს შეფობა ებრაელთა სოფელზე, შიგ უნდა იყოს მოთავსებული საშეფო გლეხების და მათი ბავშვების კორესპონდენციები. საჭიროა კედლის გაზეთების გაცვლა საშეფო სოფელთან.

კედლის გაზეთის მემმსის კუთხე არ უნდა იყოს მშრა-

ლი, შედგენილი მხოლოდ „პრობლემატიური" წერილებიდან. საჭიროა კედგაზეთში მოთავსება ილუსტრაციების, ებრაელთა გლეხების მუშაობის დროს—ფოტო სურათები, ბავშთა სურათები მინდვრად, კარიკატურები, შარჟები და სხვ. კედლის გაზეთის საშუალებით საჭიროა თავისი მუშაობის გამოცდილების გაზიარება „მეჰმსის მეგობართა" სხვა უჯრედებთან. „მეჰმსის მეგობართა" უჯრედი აწყობს ამ კუთხეს აგროვებს მასალას და აძლევს მას კედლის გაზეთის საერთო რედკოლეგიას. რამდენადაც უჯრედი ეხმარება ამ საქმეს, იმდენად ჩვენ უფრო ვართ დარწმუნებული, რომ მეჰმსის კუთხე დაიკავებს საპატიო ადგილს კედლის გაზეთში. **კიდევ ერთი „სხვა სახეობა „გაზეთისა"—ესაა ცოცხალი გაზეთი,** რომელიც შესდგება პატარა ინსცენიროვკებისა, კუპლეტებისა, სიმღერებისაგან და ა. შ. საღამოს, კრების დროს შესაძლებელია მოწყობილ იქნეს ინსცენიროვკა: სხვადასხვა მომენტები უჯრედის მუშაობისა, საშეფო სკოლისა, სიმღერებისა და კუპლეტების შედგენა დიდ ხმაურიანი ორკესტრის თანხლებით. **საჭიროა აგრეთვე ფართოდ გამოყენება ზეპირი გაზეთებისა.** საჭიროა წაკითხვა საყურადღებო წერილებისა კედლის გაზეთებიდან, დაბეჭდილი გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მეჰმსის საკითხზე, ფელეტონების კითხვა — ასეთი კითხვა შესაძლებელია მოწყობილ იქნეს „მეჰმსის მეგობართა" უჯრედის გაფართოებული თათბირების შემდეგ.

ზეპირი და კედლის გაზეთები უნდა გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სოფლად გამგზავრების დროს. გაიხსენეთ ცოცხალი, მხატვრული აღწერა პიონერთა დელეგატების მიერ ებრაელთა კოლონიების შესახებ „პიონერსკაია პრავდა"-ში. ასეულ ათასმა ბავშვებმა წაიკითხეს ეს საყურადღებო და საინტერესო მიმოხილვები. უფროსი მუშები კითხულობდენ მათ დიდი სარგებლობით თავისთვის. ყოველ უჯრედს შეუძლია იგივე გააკეთოს თუ ის მიიზიდავს უფრო ნიჭიერ ბავშვებს მიმოხილვებისა და წერილების დასაწერად—უჯრედის მუშაობის სხვადასხვა მომენტი — საშეფო სოფლის ცხოვრებისა და სხვ. შე-

სახებ. საჭიროა უჯრედის წევრთა მიზიდვა, რომ მათ სწერონ „პიონერსკაია პრავდა“-ში, ჟურნალ „პიონერში“ და სხვა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11. უჯრედების კონფერენცია

დრო გამოშვებით საჭიროა „მეგობრის მეგობართა“ უჯრედების საქალაქო და სარაიონო კონფერენციების მოწვევა. ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ აუცილებელია, რომ უჯრედებმა ჯამი გაუკეთონ ჩატარებულ მუშაობას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და დასახონ მუშაობის შემდგომი ფორმები და მეთოდები. კონფერენციისათვის მზადება კომკავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქვეშ და აგრეთვე პიონერთა ორგანიზაციისა მეგობრის განყოფილებასთან შეერთებით. თუ კონფერენცია საქალაქოა, მაშინ საჭიროა მოწვევა უახლოესი სოფლის უჯრედებისა, ებრაელთა გლეხებისა. როგორი საკითხები განიხილება კონფერენციებზე? კონფერენციაზე უნდა დაისვას საჩვენებელი უჯრედების ანგარიშები — მათი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ფართო განხილვით. საჭიროა კონფერენციებზე უზრუნველყოფა, როგორც უჯრედების მთელ მუშაობაში — ჩატარებულ მუშაობის ფართო თვითკრიტიკისა. მეგობრის ადგილობრივმა განყოფილებამ უნდა გააკეთოს მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ და უნდა უამბოს თუ როგორ ხელმძღვანელობს „მეგობრის მეგობართა“ უჯრედებს. კონფერენციები უნდა იქნეს მოწვეული არა მარტო ანგარიშისა და ჯამის გაკეთებისათვის — განსაზღვრულ დროის მუშაობის გამო. თუ დღის წესრიგში დგას რომელიმე დამკვრელი საკითხი, კამპანია, რომელშიაც აუცილებელია საერთო ხაზი ყველა უჯრედებისათვის — ამ შემთხვევაშიაც საჭიროა უჯრედების კონფერენციის მოწვევა. როგორი დიდი მნიშვნელობა აქვთ უჯრედების კონფერენციებს, ჩვენ ვხედავთ, თუნდაც შემდეგი ფაქტიდან.

„ ქ. კანევში შევჩენკოს ოლქში ჩატარებულ იყო „მეგობრის მეგობართა“ უჯრედების კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 60-მა მოსწავლემ; 50 დელეგატი—

უკრაინის სოფლის ბავშვები. დელეგატები წარმოადგენდენ „მემმსის მეგობართა“ 16 სკოლის ჯგუფებს (13 სოფ.).

კონფერენციის მომზადების საორგანიზაციო მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კანევის შვიდწლედის მასწავლებლებმა. კონფერენციის დელეგატებმა მემმსის პრაქტიკულ მუშაობაში იგრძნეს მისი კლასობრივი ხასიათი: მათ განაცხადეს, რომ კულაკები არ აძლევენ თავის ბავშვებს — მემსის რიგებში შესვლას. მათ განაცხადეს, რომ მშობლებმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის მნიშვნელობა, ისინი უჩივოდენ მემმსის ლიტერატურის, განსაკუთრებით საბავშვოს, უქონლობას.

კონფერენციის დადგენილებიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

დაწყებულ იქნეს მუშაობა მშრომელების აღზრდისათვის ინტერნაციონალური სოლიდარობის სულით;

ჩაბმულ იქნეს მემმსის რიგებში, როგორც სკოლაში, აგრეთვე სკოლის გარედ მყოფი ბავშვები;

სასწრაფოდ შეგროვილ იქნეს თანხა საბავშვო მოედნების მოსაწყობად, იმ ებრაელ გადასახლებულთა ბავშვებისათვის, რომლებიც იმყოფებიან ფონდებზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანევის შვიდწლედის განსაკუთრებული მაგალითი — ღირსია მიბაძვისა“.

(ე. ეიდელმან, „ტრიბუნა“ № 15, 1929 წ.).

კონფერენციას უნდა მომზადება. საჭიროა იქ ექსპონატების მოწყობა, რომლებიც ახასიათებენ უჯრედის მუშაობას, უნდა გამოკიდებულ იქნეს კედლის გაზეთები მემმსის კუთხეებით, დიაგრამები ზრდისა, შეგროვილი თანხისა, გავრცელებული სალატარიო ბილეთებისა, სასოფლო სამეურნეო ექსპონატები, სურათები, ფოტოგრაფიები, საბავშო მუშაობის ნიმუშები სასოფლო სამეურნეო ინვენტარის შეკეთებაში და სხვ.

ყველა უჯრედების საუკეთესო ძალებით უნდა მოეწყოს კონფერენციისათვის მხატვრული პროგრამა, რომელიც დამაჯერებლად გადმოსცემს ჩატარებულ მუშაო-

ბას, სოფლის ცხოვრებას და ბავშვთა მონაწილეობას ებრაელთა სოფლის სოციალისტურად გადაქმნაში. კონფერენციებში შეძლებისამებრ უნდა მონაწილეობა მიიღონ „მემზსის მეგობართა“ უჯრედების ყველა წევრებმა. თუ კონფერენცია ტარდება მემზსის საერთო კონფერენციის წინაალმდეგ, მაშინ საჭიროა ბავშვთა დელეგაციის გამოყოფა ამ კონფერენციაზე და როგორმე მასზე „მემზსის მეგობართა“ უჯრედების მუშაობის ანგარიშის დაყენება. თუ მემზსის საოლქო კონფერენციაზე მემზსის საკავშირო ყრილობის წინ იქნებიან ბავშვთა უჯრედების წარმომადგენლები მაშინ საჭიროა იმის მიღწევა, რომ მემზსის საკავშ. ყრილობის დელეგატების შორის იყოს აგრეთვე „მემზსის მეგ.“ ბავშვთა უჯრედების დელეგატი. მაგრამ ეს დამოკიდებულია უკვე იმისაგან, თუ „მემზსის მეგობართა“ უჯრედების მუშაობა რამდენად თამაშობს დიდ როლს და უჭირავს თვალსაჩინო მუშაობა მემზსის საერთო მუშაობაში.

## 12. ხელმძღვანელობა და დახმარება მუშაობაში

როგორც ვხედავთ, მემზსის მუშაობა ბავშვების შორის შესდგება უმთავრესად შემდეგი მომენტებიდან:

**ინტერნაციონალური ლენინური აღზრდა ბავშვთა ფართო მასებისა და მშობლებისა.**

**მუშაობა ებრაელთა სოფელში კოლექტივიზაციის დასახმარებლად და სასოფლო მეურნეობაში აგროკულტურული ზრდისათვის.**

**დახმარება მემზსისათვის მის მიერ წარმოებულ უაღრესად საყურადღებო მუშაობაში ებრაელ მშრომელთა მასების შორის.**

როგორც მთელ მუშაობაში ბავშვებს შორის, აქაც უნდა განვახორციელოთ კომკავშირის ხელმძღვანელობა.

ჩვენ აქ უკვე აღარ ვლაპარაკობთ მემზსის ახალგაზდათა სექციების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობენ „მემზსის მეგობართა“ უჯრედების მუშაობას, — სადაც კომკავშირი იღებს აქტიურ მონაწილეობას და ხელმძღ-

ვანელობს მთელ მუშაობას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ
თვით უჯრედების ბიუროშიაც იყოს განხორციელებული
კომკავშირული ხელმძღვანელობა. საჭიროა, რომ კომკა-
ვშირელი მოსწავლენი, უფრო პიონერი კომკავშირელე-
ბი, იყვნენ ყველაზე უფრო აქტიურები მემმსის მუშაო-
ბაში, რომ მათ გაჰყვეს და მათგან იღებდეს მაგალითს
მთელი ბავშვთა მასა, რომელიც ჩამოყალიბებულია „მემ-
მსის მეგობართა" უჯრედების რიგებში. როცა სკოლა
ან პიონერ რაზმი ანგარიშს აბარებს კომკავშირის უჯ-
რედს თავისი მუშაობის შესახებ, აუცილებელია ანგარი-
შში შეტანა აგრეთვე „მემმსის მეგობართა" მუშაობისა
და მოთხოვნა დირექტივებისა, ხელმძღვანელობისა და
დახმარებისა კომკავშირელების მხრით. მხოლოდ იმ შემ-
თხვევაში, როცა უჯრედები ჩამოაყალიბებენ თავის მუ-
შაობას განუწყვეტელ კავშირში სკოლისა და რაზმის
მთელ საზოგადოებრივ -- სასარგებლო მუშაობასთან —
მათი მუშაობა გამართლებული იქნება, როგორც ერთი
საყურადღებო ნაწილთაგანი მთელი საზოგადოებრივი
მუშაობისა.

საჭიროა მასწავლებლობის ფართო მოზიდვა უჯრე-
დების მუშობის ხელმძღვანელობისათვის. ბაასის ჩატარე-
ბა წრეებში, მოხსენებების კითხვა, როგორც მთელი მუ-
შაობა მშობლებს შორის უნდა ჩატარებულ იქნეს მტკი-
ცე კონტაქტით და მასწავლებლების უახლოესი მონაწი-
ლეობით. სოფელში გამგზავრების დროს, ყველგან უნდა
იგრძნობოდეს მასწავლებლის როლი, როგორც მახლობ-
ლისა და მცოდნე ამხანაგისა, რომელიც ეხმარება უჯ-
რედის მთელ მუშაობას. მემმსის განყოფილების ხელმძღ-
ვანელობამაც უნდა ხელი შეუწყოს აგრეთვე უჯრედების
მუშაობას. „მემმსის მეგობართა" უჯრედები უნდა ითხო-
ვდენ ხელმძღვანელობას მემმსის განყოფილების მხრით,
უნდა იქნენ გამოყენებული მემმსის წარმომადგენლები თა
თბირებისა და მოხსენებისათვის, უნდა ჩაბმულ იქნენ ისი-
ნი გეგმის გამომუშავებაში, უნდა შეუთანხმდენ მემმსის
ობა მტკიცედ იქნება დაკავშირებული სკოლისა და რაზ-
მის მუშაობასთან, თუ ის გატარებულ იქნა კომკავშირის.

დანარჩენი სამუშაო უჯრედისა. თუ უჯრედების მუშაობა მტკიცედ იქნება დაკავშირებული სკოლისა და რაზმის მუშაობასთან, თუ ის ჩატარებულ იქნა კომკავშირის, მასწავლებლობის და მეშმსის განყოფილების ხელმძღვანელობით — შეიძლება ვიყვეთ დარწმუნებული იმაში, რომ მუშაობა მიაღწევს თავის მიზანს, რომელსაც ის ისახავს.

**ბავშვებო—მუშაობისაკენ.**

**დავეხმაროთ ებრაელ ღარიბთა მასების ჩაბმას ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში!**

## დებულება ბავშვთა ჯგუფების „მეშმსის მეგობართა შესახებ

1. მეშმსის მეგობართა“ ჯგუფები მიზნად ისახავენ აუხსნან ბავშვებს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომელიც მიმართულია ებრაელ ღარიბების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმისაკენ, პროდუქტიული შრომით—საერთოდ და კოლექტიური მიწადმოქმედებით—კერძოდ.

2. „მეშმსის მეგობართა“ ჯგუფები ეხმარებიან მეშმსს ებრაელ ღარიბების კოლექტიურად მიწადმოქმედების საქმეში.

3. „მეშმსის მეგობართა“ ჯგუფები ყალიბდება სკოლებში, პიონერ-რაზმებში, საბავშვო სახლებში, ბაღებში, ინტერნატებში და ა. შ.; ამ ჯგუფების შემადგენლობაში შეუძლია და უნდა იყოს ჩაბმული აგრეთვე არა ჩამოყალიბებული ბავშვები, რომლებიც არ შედიან სკოლების, პიონერ - რაზმების, სახლების, ბაღების შემადგენლობაში.

4. ჯგუფის მთელ მუშაობას ხელმძღვანელობს საერთო კრებაზე არჩეული პრეზიდიუმი.

5. „მეშმსის მეგობართა“ ჯგუფებს ქალაქად, სოფლად და ა. შ. ხელმძღვანელობს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე წარმომადგენლები მეშმსის გამგეობის პრეზიდიუმისა, ალკკ-სი და ახალგაზრდა პიონერებისა.

6. „მემმსის მეგობართა“ ჯგუფები თავის კრებებზე ატარებენ თათბირებს მასწავლებელთა, კომკავშირელთა ან მემმსის მუშაკთა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის შესახებ და ანტისემიტიზმისა და შოვინიზმის მოვლენების შესახებ; პარტიის სასოფლო - სამეურნეო პოლიტიკისა და მთლიანი კოლექტივიზაციის შესახებ ებრაელთა მასიურ გადასახლების რაიონებში; პროლეტარიატისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირის შესახებ და ქალაქის მუშების მტკიცე კავშირის მნიშვნელობის შესახებ გარემემო მყოფ ებრაელთა კოლმეურნეობებთან; კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის ამოცანების შესახებ სოფლად მთლიანი კოლექტივზაციის განხორციელების მომენტში და საშეფო მუშაობის მნიშვნელობის შესახებ ებრაელთა კოლმეურნეობებში; ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობის შესახებ და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობანი ებრაელ მშრომელთა მიზიდვისა პროდუქტიული შრომისაკენ და ა. შ.

7. „მემმსის მეგობართა“ ჯგუფები იღებენ თავზე ინიციატივას, რომ მიიღოს თავზე სკოლამ, საბავშო სახლმა, პიონერ-რაზმმა, პიონერ-კლუბმა და ა. შ. შეფობა ბავშვთა ორგანიზაციაზე ან დაწესებულებაზე ერთ-ერთ კოლონიაში. ის აწყობს აგრეთვე მუშათა ბავშვების დელეგაციას ებრაელთა სოფლებში.

8. „მემმსის მეგობართა“ ჯგუფები თავის დაწესებულებებში მართავენ მემმსის კუთხეს.

9. „მემმსის მეგობართა“ ჯგუფები ეწევიან აგიტაციას მოზრდილ მშრომელებისა და მშობლებს შორის, რომ ისინი შევიდენ მემმსის წევრთა რიგებში, რომ გამოიწერონ ჟურნალი „ტრიბუნა“, მემმსის ლიტერატურა, გაავრცელონ მემმსის სალატარიო ბილეთები და ა. შ.

10. მთელ თავის მიმდინარე მუშაობას „მემმსის მეგობართა“ ჯგუფები ატარებენ პიონერ - რაზმებისა და ფორპოსტების ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობით.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა